საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ლომიძე ივანე (გივი) ტიმოთეს ძე



ი. ლომიძე „ჯადოსნური წრე“ (კარიკატურა)

ლომიძე ივანე (გივი) ტიმოთეს ძე (3. XII. 1915, ქუთაისი, – 22. I. 1999, თბილისი), მხატვარ-კარიკატურისტი. 1929 გაიმარჯვა ჟურნ. „ნიანგის“ მიერ გამოცხადებულ კონკურსში. თანამშრომლობდა ჟურნ. „ნიანგსა“ და „კროკოდილთან“ (მოსკოვი); გაზ. „კომუნისტთან“, „პრავდასთან“ და სხვ. მისი კარიკატურები იბეჭდებოდა სხვადასხვა ქვეყნის პრესის ფურცლებზე. ძირითადი ნამუშევრებია: პოლიტ. და სოც. კარიკატურები, მეგობრული შარჟები. გამოფენებში მონაწილეობდა 1949-იდან, 1983 მოსკოვში ჰქონდა პერსონალური გამოფენა. 1969 იქვე მიიღო მონაწილეობა I საერთაშ. გამოფენაში „სატირა მშვიდობისათვის ბრძოლაში“, სადაც მიენიჭა ოქროს მედალი, ხოლო 1983, იმავე ეგიდით გამართულ IV საერთაშ. გამოფენაზე – ვერცხლის მედალი.